სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების

ეროვნული ცენტრის დირექტორს,

ქალბატონ თამარ მახარაშვილს

ქალბატონო თამარ,

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების 2021 წლის 18 იანვრის წერილობითი ინფორმაციის საფუძველზე შესწავლილ იქნა აკრედიტაციის დებულებაში შემავალი ცვლილებები, რომელიც წარმოდგენილი იყო პროექტის სახით. 9 თებერვლს გამართული ხარისხის თემატური ჯგუფის შეხვედრაზე, რომელში მონაწილეობდა 30-მდე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულება, გამოითქვა კონკრეტული რეკომენდაციები და მოსაზრებები, დაკავშირებული წინამდებარე ცვლილებებთან. წარმოგიდგენთ კლასტერულ აკრედიტაციასთან მიმართებაში შეხვედრაზე შეჯერებულ მოსაზრებებს, კერძოდ,

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ არც ერთ დოკუმენტში, რომელიც წარმოადგინა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა (შემდგომში - ცენტრი), არ არის ჩამოყალიბებული კლასტერული აკრედიტაციის განმარტება, მიზნები და შესაძლო შედეგები. შესაბამისად, რთულია ვიმსჯელოთ ცალკე აღებულ დოკუმენტზე, ამ შემთხვევაში, კონკრეტულად უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშზე, მაშინ როცა კლასტერული აკრედიტაციის სრული სურათი არ გვაქვს. შესაბამისად, იმისათვის, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა სრულყოფილად შეძლონ მონაწილეობა კლასტერული აკრედიტაციის ფორმირების პროცესში, გთხოვთ, ერთად მოგვაწოდოთ აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი და რაც მთავარია, ამ პროცესის განმარტება, აღწერა, მიზნები და შესაძლო შედეგები.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშთან დაკავშირებით გვაქვს სამი ძირითადი შენიშვნა:

1) მოცემულ დოკუმენტში არ არის ამჟამად არსებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში არსებული ცხრილი - პროგრამების რაოდენობრივი მაჩვენებლები (გვ. 4-6). ვთვლით, რომ აღნიშნული ცხრილი ძალიან მნიშვნელოვანია და ნათელ სურათს გვაძლევს პროგრამის შესახებ. გარდა ამისა, აღნიშნულ ცხრილში მოცემული ინფორმაცია საშუალებას მოგვცემს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშიდან ამოვიღოთ ქვემოთ მოცემული შეკითხვები პროგრამის რიგ რაოდენობრივ მონაცემებთან დაკავშირებით, რომელზე პასუხიც ნარატივის სახითაა მოთხოვნილი.

2) იქიდან გამომდინარე, რომ კლასტერული აკრედიტაცია უნდა გვაძლევდეს შესაძლებლობას პროგრამათა ჯგუფი დავინახოთ და შევაფასოთ მთლიანობაში და აღნიშნული პროცესი არ იყოს მხოლოდ პროგრამების მექანიკური გაერთიანება, მთლიანი კლასტერი უნდა ფასდებოდეს აკრედიტაციის ყველა სტანდარტსა და სტანდარტის კომპონენტთან მიმართებით. ცალკეული პროგრამებისა და სასწავლო კურსების შინაარსის შეფასებას, ისევე როგორც აკადემიური პერსონალის ცალკეული პროგრამის ჭრილში შეფასებას, ექსპერტები თანდართული დოკუმენტაციის მეშვეობით შეძლებენ.
3) დოკუმენტის მეხუთე გვერდზე, „საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის მოკლე მიმოხილვა“ სათაურის ქვეშ მოცემული საკითხები გადასახედია. რიგ შემთხვევაში ბუნდოვანია მათი შინაარსი, რიგ შემთხვევაში არარელევანტური ინფორმაციაა მოთხოვნილი, ხოლო რიგ შემთხვევაში კი ერთი და იგივე საკითხის ქვეშ განსხვავებული შინაარსის წინადადებია გაერთიანებული.

ამასთან, გვინდა აღვნიშნოთ ორი ბუნდოვანი საკითხი:

1) თვითშეფასების ფორმის მე-15 გვერდზე მოყვანილია „საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის“ განსაზღვრის ცხრილი. როგორც განმარტებაში წესია შესაბამისობის დონეს განსაზღვრავს ინსტიტუცია, მაგრამ გაუგებარია კრიტერიუმი. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია კლასტერული აკრედიტაციის თვითშეფასების მეთოდოლოგია არ არის შემუშავებული.
2) პროგრამების დაჯგუფების პრინციპი და რაოდენობა, რომელიც შეიძლება რომ იყოს წარმოდგენილი ერთ თვითშეფასებაში. მაგალითად, სასწავლებელი ახორციელებეს საინჟინრო მიმართულების 4 საგანმანათლებლო პროგრამას, აქედან 2 პროგრამა არის დარგობრივი და ბაკალავრიატის საფეხურის, 1 პროგრამა არადარგობრივი ბაკალავრიატის და 1 მაგისტრატურის, რომელიც თავისი არსით დარგობრივია, მაგრამ მოქმედ დარგობრივ მახასიათებელში შეყვანილი არაა, ვინაიდან დარგობრივი მხოლოდ ბაკალავრიატის საფეხურს მოიცავს. როგორ ვიქცევით ამ შემთხვევაში?

პატივისცემით,